



## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 777

26/04/2018

ქალაქი ბათუმი

777-05-4-201804261609



### მაჭახელას ხეობისათვის შექმნილი ნაგავმზიდის მიმღები კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსის ა. ბაჟაშვილის 2018 წლის N1179-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ**:

1. შეიქმნას მაჭახელას ხეობისათვის შექმნილი ნაგავმზიდის მიმღები კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ჯუმბერ ვარდმანიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მირზა ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

გ) ანა ბაჟაშვილი - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი - კომისიის მდივანი;

დ) ომარ დუმბაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი;

ე) მერაბ ბახტაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი;

ვ) სულხან ვერძაძე - ა(ა)იპ „ხელვაჩაურის გამწვანების, დასუფთავებისა და კომუნალური მომსახურების სამსახურის“-ს დირექტროსი მ/შ - კომისიის წევრი;

2. დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ.ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

